საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №89
2020 წლის 16 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„სადისციპლინო წესდების აღსრულების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 12 აპრილის №23 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სადისციპლინო წესდების აღსრულების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 12 აპრილის №23 ბრძანებაში (ვებგვერდი, 13/04/2016, სარეგისტრაციო კოდი: 120340000.22.026.016369) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული დანართი №3 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დანართი №3

წარდგინება

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეთა

სადისციპლინო წესდებით განსაზღვრული წახალისების სახის შეფარდების თაობაზე

ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

„_____“ „_____“ 20 ___ წელი

I. სამხედრო მოსამსახურის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია

_____ _____

სახელი, გვარი პირადი №

_____ _____

წოდება თანამდებობა

II. ღირსეული საქციელის აღწერილობა და გამოსაყენებელი წახალისების სახე

მუხლი №_____ პუნქტი № _____ _____

სადისციპლინო წესდების მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ღირსეულ საქციელს გამოსაყენებელი წახალისების სახე

_____

_____

ღირსეული საქციელის აღწერილობა

შენიშვნა: ღირსეული საქციელის აღწერილობა უნდა მოიცავდეს იმ გარემოებებს, რომლითაც დგინდება სამხედრო მოსამსახურის მიერ სადისციპლინო წესდების შესაბამისი მუხლით განსაზღვრული ღირსეული საქციელის ჩადენა.

III. წარდგინების შევსების დროს მოქმედი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა

მუხლი № _____ პუნქტი № _____

დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა _____

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურის მიმართ მოქმედებს ერთზე მეტი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, მიეთითება თითოეული ცალ-ცალკე.

IV. დანართები

_____

_____

შენიშვნა: ჩამოითვლება ამ წარდგინებაში ასახული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

V. წარდგინების შემდგენი

_____ _____

სახელი, გვარი წოდება

_____

თანამდებობა

_____

ხელმოწერა

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**